დამკვეთი: შპს „დუგლაძეების ღვინის კომპანია“

ობიექტი: ქ. თბილისი. თ. ჩანტლაძის ჩიხის #8 სკ. 01.19.16.001.300

მინის ტარის საწყობი

მომიჯნავე შენობა-ნაგებობაზე ზეგავლენის კვლევა

ქ.რუსთავი

2022 წელი

მომიჯნავე შენობა-ნაგებობაზე ზეგავლენის კვლევა

ქ. თბილისი. თ. ჩანტლაძის ჩიხი #8 (მიწის ნაკვეთზე ს/კ 01.19.16.001.300 შენობა #1-ის სამონტაჟო სამუშაოების ობიექტის მომიჯნავე შენობა ნაგებობებზე ზეგავლენის კვლევის ანგარიში.

დამკვეთი-შპს „დუგლაძეების ღვინის კომპანია“

საპროექტო ობიექტის მისამართი- ქ. თბილისი. თ. ჩანტლაძის ჩიხი #8 (მიწის ნაკვეთზე ს/კ 01.19.16.001.300

შემსრულებელი ექსპერტი- გ. ამბროლაძე /ინჟინერ-მშენებელი , კონსტრუქორი/

ექსპერტიზის ამოცანა-ქ. თბილისი. თ. ჩანტლაძის ჩიხი #8 (მიწის ნაკვეთზე ს/კ 01.19.16.001.300სასაწყობე დანიშნულების შენობა #1-ის სამონტაჟო სამუშაოების პერიოდში შესაძლო ზეგავლენის ხარისხის შესწავლა მომიჯნავედ მდებარე შენობა-ნაგებობაზე და შესაბამისი ანგარიშების მომზადება. IV კლასის შენობა-ნაგებობის შემთხვევაში- სამშენებლო მოედნის 20 მეტრის რადიუსში საქართველოს მთავრობის დადგენილება #255 31.04.2019 წ. მუხლი 6. პუნქტი 9.

გამოყენებული ნორმატიული აქტები და სხვა სახელმძღვანელო ლიტერატურა:

1) სნ და წ. პნ 01.01-09 „სეისმომედეგი მშენებლობა“
2) სნ და წ. პნ 01.01-08 შენობებისა და და ნაგებობების ფუძე-საძირკვლები“
3) СНиП 2.02.01-33 Основаниа зданий и сооружений
4) სამშენებლო ნორმები და წესები 2.03.01.-84 „ბეტონის და რკ-ბეტონის კონსტრუქციები“.

კვლევა- ჩემს მიერ ვიზუალური შემოწმება ჩაუტარდა აღნიშნულ მისამართზე მდებარე სასაწყობე შენობის სამონტაჟო სამუშაოების ჩატარების მიზანშეწონილობას, ამასთან გადამოწმდა 20 მეტრის რადიუსში მდებარე შენობა-ნაგებობების ტექნიკური მდგომარეობა სამონტაჟო სამუშაოების პერიოდში, მათზე რაიმე სახის ზემოქმედებათან დაკავშირებით.

საპროექტო ტერიტორია წარმოადგენს მოსწორებული ზედაპირის მქონე რელიეფს, მიწის ნაკვეთზე განლაგებულია გასული საუკუნის 60-70-იანი წლებში აგებული სამრეწველო და სამეურნეო დანიშნულების მქონე შენობა-ნაგებობები.

საპროექტო მიწის ნაკვეთზე მდებარეობს რამოდენიმე შენობა-ნაგებობა , მათგან საპროექტო შენობასთან ყველაზე ახლოს მდებარე შენობაა ძირითადი კორპუსი (ზომებით: 48X126. სიმაღლე-11.0 მ)- რომელიც დაკავშირებულია სამონტაჟო ობიექტიდან 12,0 მ მანძილით. იგი კარკასული ტიპისაა, რკინაბეტონის კოლონები (წერტილოვან ჭიქისებრ საძირკვლებში), რკინაბეტონის ფერმები და წიბოვანი ფილებით, კედლები მოწყობილია საკედლე პანელებით. მისი დღევანდელი მდგომარეობა (დათვალიერების პერიოდში) დამაკმაყოფილებელია. მისი კონსტრუქციული ელემენტები გამაგრება-გაძლიერებას არ საჭიროებს.

დასკვნა: ქ. თბილისი. თ. ჩანტლაძის ჩიხი #8 (მიწის ნაკვეთზე ს/კ 01.19.16.001.300 გათვალისწინებული სამოტაჟო სამუშაოების ჩატარება მიზანშეწონილად მიმაჩნია, დაგეგმილი სამუშაოების ლოკაციის მომიჯნავედ არსებული სამრეწველო შენობების ტექნიკური მდგომარეობა დამაკმაყოფილებელია და ისინი რაიმე სახის სპეციალური ღონისძიებების გატარებას , გამაგრების თვალსაზრისით მონტაჟის პერიოდში არ საჭიროებენ. ყოველივე ზემოთ თქმულიდან გამომდინარე სამშენებლო სამოტაჟო სამუშაოების ჩატარებას ცალსახად ვაძლევთ დადებით რეკმენდაციას.

შ.პ.ს არქიმედის დირექტორი: გ. ამბროლაძე

კონსტრუქტორი: გ. ამბროლაძე

ქალაქი თბილისი, თენგიზ ჩანტლაძის ჩიხი, №8, №8ა, №8ბ, №8გ,
ქალაქი თბილისი, ახვლედიანის ქუჩა №8.
მესაკუთრე, შპს "ლუდსაქცევების ღვინის კომპანია".
საკ. კოდი(01.19.16.001.300), ფართობი: 3082მ2
არქიტექტურულ-სამშენებლო დანიშნულების, მიწის ნაკვეთის და მისი მიმდებარე ტერიტორიის ტოპო-აზომვითი ნახაზი

